თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა

კომისიის სხდომის

ოქმი N 3

ქ. თელავი 2021 წლის 22 ივლისი

თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე **ლევან კოჭლოშვილი.**

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: **გიგა მამუკელაშვილი, იოსებ პარწიკანაშვილი, ბაადურ რევაზიშვილი, ირაკლი სულხანიშვილი.**

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის კულტურისა და განათლების განყოფილების უფროსი **რუსუდან ძამუკაშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების უფროსი **ეკატერინე მიქელაძე.**

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის N8 დადგენილებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

მომხს: ლ.კოჭლოშვილი

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 იანვრის N 01 განკარგულებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტში 2021 წელს განსახორციელებელი სპორტულ-ახალგაზრდული პროგრამის დამტკიცების შესახებ'' ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

მომხს: ლ. კოჭლოშვილი

მოისმინეს: 1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის N8 დადგენილებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ'' ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: **ლევან კოჭლოშვილმა** მიმართა მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების უფროსს გაეკეთებინა განმარტება პროგრამაში ცვლილებასთან დაკავშირებით.

ეკატერინე მიქელაძემ აღნიშნა, რომ ცვლილების შეტანის მიზანია ჯანდაცვის სამედიცინო მომსახურების დაფინანსების ქვეპროგრამით მოსარგებლე პირთა წრის გაზრდა. კერძოდ, სამედიცინო მომსახურების დაფინანსების ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფებს დაემატება შშ სტატუსის მქონე 18 წლამდე ასაკის პირების კატეგორია

აღნიშნულ საკითხს კომისიაზე დამსწრე ყველა წევრმა მხარი დაუჭირა.

გადაწყვიტეს: კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის N8 დადგენილებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ'' ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის წარდგენა საკრებულოსათვის დასამტკიცებლად.

მოისმინეს: 2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 იანვრის N 01 განკარგულებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტში 2021 წელს განსახორციელებელი სპორტულ-ახალგაზრდული პროგრამის დამტკიცების შესახებ'' ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: საკითხთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის კულტურისა და განათლების განყოფილების უფროსმა, რომელმაც აღნიშნა, რომ პროექტის თანახმად ცვლილება ხორციელდება სპორტსმენებისა და მწვრთვნელების წახალისების პროგრამის ბიუჯეტში, რომლის ოდენობა შეადგენს 30 000 ლარს. აღნიშნული თანხა დღეის მდგომარეობით ამოიწურა, ამიტომ თელავის მუნიციპალიტეტის მერია ვერ ახორციელებს შემოსული განცხადებების დაკმაყოფილებას და წარმატებულ სპორტსმენებსა და მათ მწვრთვნელებზე შესაბამისი ფულადი ჯილდოს გაცემას. პროგრამის ფუნქციონირების აღსადგენად აუცილებელია, რომ მისი დაფინანსება გაიზარდოს 20 000 ლარით.

გადაწყვიტეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 იანვრის N 01 განკარგულებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტში 2021 წელს განსახორციელებელი სპორტულ-ახალგაზრდული პროგრამის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტი წარედგინოს საკრებულოს დასამტკიცებლად.

კომისიის თავმჯდომარე: ლევან კოჭლოშვილი.